

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ალუპლასტ გლას“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2015 წლის 15 სექტემბერს საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 446963242, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ა, მელაშვილის ქ. # 33-35, ბ. 6. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რეზო ჯაიანი (პ.ნ. 61004009908) - 100%, დირექტორი რეზო ჯაიანი (პ.ნ. 61004009908).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მეტალო პლასმასის მასალების იმპორტი, რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს შსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შემოღუპვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საეჭვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც

დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწრა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	28490	2286
ლარი საბანკო ანგარიშებზე	105856	12920
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	54342	0
ევროები საბანკო ანგარიშებზე		
ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე	0	
სულ:	188688	15506

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	888159	1802647
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ	0	0
სულ:	622544	1802647

3.3. მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სხვა მიმდინარე აქტივები	1626	0
სულ:	1626	0

3.4. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	69645	289
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	644663	189968
სულ:	714308	190257

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	2068152	2748126
საწვავ-საცხები მასალები	14914	24596
ნედლეული დამასალები	253862	217779
სულ:	2336928	2990501

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაგებობები	3195	3032
მანქანა-დანადგარები	161593	48906
კაპიტალური მშენებლობა, ოფისის აღჭურვილობა და კომპ. ტექნიკა	18618	34448
ავეჯი	6860	10285
სატრანსპორტო საშუალებები	217356	361683
სხვა ძირითადი საშუალებები	56983	70335
სულ:	464605	528389

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 385060 ლარი;

2021 წლის ბოლოს - 454418 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	3184	3183
სულ:	3184	3183

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2020 წლის ბოლოს - 1562 ლარი;

2021 წლის ბოლოს - 1563 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
--	-------------------------------------	-------------------------------------

დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	29969	11563
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	1015838	903309
სულ:	1045807	914872

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 14 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 9 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ფიზიკურ პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი	0	174605
ფიზიკურ პირისგან მიღებულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	2118	19164
სულ:	2118	193769

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	138309	4023
სულ:	138309	4023

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	99860	0
გადასახდელი ხელფასები	0	0
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	7416	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1176	1881
სულ:	108452	1881

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	3302812	4415938
სულ:	3302812	4415938

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2020-2021 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2021 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020-2021 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სარემონტო-სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.14. მიწოდების ხარჯები:

		2020 წელი	2020 წელი
7310	რეკლამის ხარჯები	596	593
7340	საწვავის ხარჯები (მიწოდების)	256221	370327
7381	ავტომატური რემონტის ხარჯები	136511	123516
7390	მიწოდების სხვა ხარჯები	14710	15899
	სულ:	408038	510336

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

		2020 წელი	2021 წელი
7410	შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	1296498	1536028
7415	საპენსიო ანაზღაურებები	23506	28161
7420	საიჯარო ქირა	299500	285500
7421	იჯარით აღებული ქონების რემონტის ხარჯი	0	53942
7422	ელექტროენერგიის ხარჯები	6502	11905
7423	გაზი, წყალი, დასფთავება და ანალოგიური ხარჯები	864	1014
7426	საკანცელარიო ხარჯები	3286	5148
7427	კომპიუტერის ხარჯები	2251	6985
7430	კომუნიკაციის ხარჯები	7939	11211
7431	დაცვის ხარჯები	3483	11711
7435	საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	6769	6564
7440	საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	17237	33355
7450	საკონსულტაციო და ადიტის ხარჯები	27500	30000
7455	საერთო დანიშნულების ძირ. საშაღებების ცვეთა	132670	172823
7456	საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	475	0
7465	საგადასახადო ხარჯები	3711	4963
7470	საბანკო ხარჯები	59841	20452
7475	მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	366	1587
7481	ავტომატური რემონტის ხარჯები	2852	14163
7485	წარმომადგენლობითი ხარჯები	148	847
7490	სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	10813	10340
7495	საქველმოქმედო ხარჯები	10000	0
	სულ:	1916211	2246697

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

		2020 წელი	2021 წელი
8110	საპროცენტო შემოსავლები	351	519
8180	დადებითი საკრსო სხვაობები	28221	127775
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	107131	176412
		0	0

სულ:	135703	304707
------	--------	--------

3.17. არასაოპერაციო ხარჯები:

		2020 წელი	2021 წელი
8211	საპროცენტო ხარჯები ფიზიკრი პირებიდან	0	17047
8280	უარყოფითი საკურსო სხვაობები	117297	19404
8285	საგადასახადო ჯარიმები და სარაგები	7218	1010
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	647	70
	სულ:	125162	37531

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო აღვილი არ ჰქონია.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 29 სექტემბერს.

შპს „ალუპლასტ გალსის“
დირექტორი



რ. ჯიანი

შპს "ალუპლასტ გლას" - 2021 წ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	01.01.2020	01.01.2021	01.01.2022
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	3241871	4095587	4998911
ფულადი სახსრები	49313	188688	15506
მოკლევადიანი ინვესტიციები			
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	824993	887560	1802647
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე			
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	130945	695041	190257
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2235413	2324298	2990501
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
მისაღები პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი მოთხოვნები			
სხვა მიმდინარე აქტივები	1207		
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	280963	467478	531572
ძირითადი საშუალებები	277305	464294	528389
ბიოლოგიური აქტივები			
არამატერიალური აქტივები	3658	3184	3183
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები			
გადავადებული საგადასახადო აქტივი			
კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები			
საინვესტიციო ქონება და სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები			
სულ აქტივები:	3522834	4563065	5530483
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	1517341	1276448	1114545
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	841969	1041193	914872
მოკლევადიანი სესხები			174605
საგადასახადო ვალდებულებები	141170	126134	4023
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	2118	2118	19164
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	532084	107003	1881
გასაყიდად გამიზნულ გრძელვ. აქტივ. დაკავშირ. ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:			
გრძელვადიანი სესხები			
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება			
გრძელვადიანი ანარიცხები			
გადავადებული შემოსავალი			
სულ კაპიტალი:	2005493	3286617	4415938
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი			
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი			
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2005493	3286617	4415938
რეზერვები და დაფინანსება			
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	3522834	4563065	5530483

რ. ჯაიანი



შპს "ალუპლასტ გლას" - 2021 წ.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2021
ამონაგები	17131393	17290252
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12166981	13386246
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	4964412	3904006
სხვა საოპერაციო შემოსავლები	112283	176413
სულ საოპერაციო შემოსავლები:	5076695	4080419
მიწოდების ხარჯები	407975	510336
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1916614	2246697
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	6981	70
სულ საოპერაციო ხარჯები:	2331570	2757103
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან	0	0
ფინანსური შემოსავლები	351	519
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0	0
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
დადებითი საკურსო სხვაობები	28085	127776
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	0	0
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	28436	128295
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	0	0
ფინანსური დანახარჯები	0	17046
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0	0
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
საგადასახადო ჯარიმები და საურთხეო	4242	1010
უარყოფითი საკურსო სხვაობები	117298	19404
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	0	0
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	121540	37460
მოგება დაბეგვრამდე:	2652021	1414151
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	2652021	1414151
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	2652021	1414151
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებელი:	0	0
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	2652021	1414151
არამაკონტროლებელ წილზე	0	0
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0
მეკავშირე საწარმოს სხვა სრული შემოსავლის წილი	0	0
სხვა სრული შემოსავალი	0	0
სხვა სრულ შემოსავალთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:	0	0
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	2652021	1414151
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებელი:	0	0
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	2652021	1414151
არამაკონტროლებელ წილებზე	0	0

რ. ჯაიანი



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-173182	139375
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-173182	139375
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	188688	49313
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15506	188688

რ. ჯაიანი



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15506	188688	49313
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1802647	887560	824993
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	190257	695041	130945
მარაგები	2990501	2324298	2236620
მზა პროდუქცია	2990501	2324298	2235413
სხვა	0	0	1207
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	3183	3184	3658
ძირითადი საშუალებები	528389	464294	277305
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	5530483	4563065	3522834
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	914872	1041193	841969
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	4023	126134	141171
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	19164	2118	2118
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	174605	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1881	107003	532083
სულ ვალდებულებები	1114545	1276448	1517341
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4415938	3286617	2005493
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	4415938	3286617	2005493
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5530483	4563065	3522834
სულ მოკლევადიანი აქტივები	4998911	4129709	3241981
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

რ. ჯიანი



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	17466665	17243676
საქონლის გაყიდვიდან	17290252	17131393
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	176413	112283
გაყიდვების თვითღირებულება	-13386246	-12166981
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	4080419	5076695
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1564188	-1320004
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-172823	-133145
საპროცენტო შემოსავალი	519	351
საპროცენტო ხარჯი	-17046	0
იჯარის ხარჯი	-285500	-299500
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-734522	-571940
სულ საოპერაციო ხარჯები	-2773560	-2324238
საოპერაციო მოგება	1306859	2752457
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა/უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო გადაფას.	108372	-89213
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-1080	-11222
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაც.	1414151	2652022
მოგების გადასახადის ხარჯი	-42725	-205635
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1371426	2446387
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1371426	2446387
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3286617	2005493
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-242105	-1165263
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4415938	3286617

რ. ჯაიანი



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-173182	139375
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-173182	139375
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	188688	49313
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15506	188688

რ. ჯაიანი


